საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„ჯორჯიან პოლიმერი“**-ს დირექტორის

ბ-ნი ელგუჯა ღვინაშვილის

ტელ: **595 31-71-91**
geopoly2009@gmail.com

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „ჯორჯიან პოლიმერი“-ს,** ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, ლორთქიფანიძის ქ. #72 (ყოფილი კაიროს ქუჩა #20, ს/კ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **01.19.21.002.405)**, გააჩნია პოლიეთილენის, პოლიპროპილენის და ბიოდეგრადირებადი ფირების და პარკების წარმოების საამქრო, **რომელიც შემოტანილი პირველადი გრანულებით აწარმოებს პოლიეთილენის, პოლიპროპილენისა და ბიოდეგრადირებად ფირებს და პარკებს. აღნიშნულმა საწარმო წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს.** ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X=499910.00; Y=4614705.00)

აღნიშნულ საწარმოში დამატებით დაიგეგმა მეორადი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენების ნარჩენების (კოდებით 07 02 13; 15 01 02; 19 12 04; 20 01 39) გადამუშავება, რომელიც ძირითადად შემოტანილი იქნება საქართველოში სხვადასხვა წარმოებებიდან, რომლებსაც წარმოექმნებათ აღნიშნული სახის ნარჩენები (აღდგენის კოდი R3). ასევე ზემოთ აღნიშნული ნარჩენების შემოტანა განხორციელდება სხვა ქვეყნებიდან. აღნიშნული ნარჩენების შემოტანა სხვა ქვეყნებიდან განხორციელდება სასაქონლო ნომენკლატურის საერთაშორისო კოდით: 3915.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №259 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისათვის, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის დაშვებული ნარჩენების ნუსხის“ შესაბამისად კოდია **B3010.**

საწარმოში შემოტანი ნარჩენები იქნება გასუფთავებული (გარეცხილი) და დაქუცმაცებული ან შესაბამისად შეფუთული პლასტმასის ნარჩენების იმპორტის დადგენილების შესაბამისად; შესაბამისად საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით არ ხდება ნედლეულის რეცხვა და საწარმოო მიზნებისთვის წყლის გამოყენება არ ხდება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის მე-10 პუნქტის, 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით ელგუჯა ღვინაშვილი

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;

№ 5902
02 04 21